მაუწყებლის დირექტორის 2024 წლის -- მარტის N02-03/--- ბრძანების
დანართი N1

სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო“-ს მმართველი საბჭოს დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1.1. წინამდებარე დებულება განსაზღვრავს საჯარო სამართლის იურიდიული პირი ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო“-ს (შემდგომში - ,,მაუწყებელი“) მმართველი საბჭოს (შემდეგში - ,,საბჭო“) შემადგენლობას, ფუნქციებს, საქმიანობის განხორციელებისა და გადაწყვეტილების მიღების წესს.

1.2. მმართველი საბჭო საქმიანობას წარმართავს საქართველოს კანონმდებლობის, მათ შორის ,,მაუწყებლობის შესახებ'' საქართველოს კანონის, საზოგადოებრივი მაუწყებლის ქცევის კოდექსის, მაუწყებლის დებულებისა და წინამდებარე დებულების მოთხოვნათა დაცვით.

1.3. მმართველი საბჭო კომპეტენციის ფარგლებში ანგარიშვალდებულია მაუწყებლის დირექტორის წინაშე.

მუხლი 2. საბჭოს მიზანი

2.1. საბჭო არის მაუწყებლის სათათბირო, კოლეგიური ორგანო, რომლის მიზანია:

ა) მაუწყებლის შეუფერხებელი, ეფექტიანი და ხარისხიანი საქმიანობის ხელშეწყობა;

ბ) მაუწყებლის პრიორიტეტების შესაბამისად რეკომენდაცი(ებ)ის შემუშავება.

მუხლი 3. საბჭოს ამოცანები

3.1. საბჭოს ამოცანებია:

ა) განხილულ საკითხებზე რეკომენდაციების შემუშავება;

ბ) მაუწყებლის ადმინისტრაციული ფუნქციების განხორციელების ხელშეწყობა;

გ) პრობლემური საკითხების წარმოჩენა და გადაჭრის ეფექტიანი გზების შეთავაზება;

დ) გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი.

მუხლი 4. საბჭოს ფუნქციები

4.1. საბჭო უფლებამოსილია:

ა) განახორციელოს მაუწყებლის სიტუაციური ანალიზი, სვოტ ანალიზი, გარემოს ანალიზი;

ბ) განიხილოს და შეითანხმოს თითოეული მიმართულების მიერ მომზადებული პრიორიტეტები და სამოქმედო გეგმა;

გ) მაუწყებლის ბიუჯეტის მომზადების ეტაპზე უზრუნველყოს ბიუჯეტის პროექტის განხილვაში მონაწილეობა;
დ) განიხილოს და გასცეს რეკომენდაცია პროექტების შეძენაზე;
ე) უზრუნველყოს წარმოქმნილი პრობლემური საკითხების დროული განხილვა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება;
ვ) უზრუნველყოს მაუწყებლის სტრუქტურული ერთეულების კვარტალური ანგარიშების განხილვა და შეფასება;
ზ) განიხილოს და შეიმუშაოს რეკომენდაციები მაუწყებლის რეორგანიზაციასთან, სტრუქტურული ერთეულის შექმნასთან, გაუქმებასა ან გაერთიანებასთან დაკავშირებულ საკითხებზე.
თ) განახორციელოს მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების მონიტორინგი;
ი) განსაზღვროს მონიტორინგის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი.
კ) კომპეტენციის ფარგლებში, დაწესებულების მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად განახორციელოს სხვა უფლებამოსილები.

მუხლი 4. საბჭოს შემადგენლობა

4.1. საბჭოს შემადგენლობაში შედიან:
ა) მაუწყებლის დირექტორი;
ბ) დირექტორის მოადგილე მაუწყებლობის განვითარების დარგში;
გ) დირექტორის მოადგილე ტექნიკური განვითარების დარგში;
დ) სატელევიზიო მაუწყებლობის განვითარების სამსახურის უფროსი;
ე) რადიო მაუწყებლობის სამსახურის უფროსი;
ვ) ახალი ამბების სამსახურის უფროსი;
ზ) საავტორო-შემოქმედებითი გადაცემების სამსახურის უფროსი;
თ) მიმდინარე მაუწყებლობის სამსახურის უფროსი;
ი) ონლაინ მედიის სამსახურის უფროსი.
4.2. დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის გათვალისწინებით, მმართველი საბჭოს სხდომაზე სათათბირო ხმის უფლებით შესაძლებელია მოწვეული იქნან მაუწყებელში დასაქმებულები, ექსპერტები ან სხვა უფლებამოსილი პირები.
4.3.საბჭოს სხდომა, როგორც წესი, ღიაა. კანონმდებლობით გათვალისწინებული საფუძვლის არსებობისას, სხდომა შესაძლებელია გამოცხადდეს დახურულად, სხდომაზე დამსწრე წევრთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით.

მუხლი 5. საბჭოს სხდომა

5.1. საბჭო თავის უფლებამოსილებას მიკუთვნებულ საკითხებს განიხილავს საბჭოს სხდომებზე.

5.2. საბჭოს სხდომაზე განსახილველი საკითხის ინიცირების უფლება აქვს საბჭოს თითოეულ წევრს, ასევე მაუწყებელში დასაქმებულ პირებს.
5.3. საბჭოს სხდომას თავმჯდომარეობს მაუწყებლის დირექტორი.
5.4. მაუწყებლის დირექტორის არ ყოფნის შემთხვევაში სხდომას თავმჯდომარეობს მაუწყებლის დირექტორის მოადგილე მაუწყებლობის განვითარების დარგში, ხოლო მისი არ ყოფნის შემთხვევაში დირექტორის მოადგილე ტექნიკის განვითარების დარგში.
5.5. საბჭოს სხდომა მოიწვევა საჭიროებისამებრ, საბჭოს თავმჯდომარის ინიციატივით ან საბჭოს წევრთა ორი მესამედის მოთხოვნით.
5.6. საბჭო გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება საბჭოს წევრთა უმრავლესობა.
5.7. საბჭო გადაწყვეტილებას იღებს დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით, ხმათა თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია სხდომის თავმჯდომარის ხმა.
5.8. საბჭოს გადაწყვეტილება სარეკომენდაციო ხასიათისაა.
5.9. საბჭოს ხმათა უმრავლესობით მხარდაჭერილი საკითხი, წარედგინება მაუწყებლის დირექტორს, შესაბამისი რეაგირების მიზნით.
5.10. საბჭოს სხდომა შესაძლებელია ჩატარდეს დისტანციურად ან შერეული ფორმატით.
5.11. შესაძლებელია სხდომის ტექნიკური საშუალებებით ჩაწერა, საბჭოს ყველა დამსწრე წევრის თანხმობის საფუძველზე.

მუხლი 6. საბჭოს სხდომის ორგანიზაციულ–ტექნიკური უზრუნველყოფა

6.1. საბჭოს საქმიანობის ორგანიზაციულ–ტექნიკურ უზრუნველყოფას ახორციელებს სხდომის მდივანი (შემდგომში - ,,მდივანი”), რომელიც აირჩევა საბჭოს შემადგენლობიდან, საბჭოს სხდომაზე დამსწრე წევრთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით.
6.2. სხდომის მდივანი უზრუნველყოფს საბჭოს წევრებისა და მოწვეული პირებისათვის დღის წესრიგის გაცნობას, საბჭოს სხდომის ოქმის შედგენასა და საქმისწარმოების ელექტრონულ სისტემაში ატვირთვას.
6.3. მდივანი უზრუნველყოფს სხდომაზე დამსწრე პირთა აღრიცხვას თანდართული N1 ფორმის შესაბამისად.
6.4. სხდომის ოქმის პროექტი, შენიშვნების გაკეთების მიზნით, ელექტრონული ფოსტის მეშვეობით ეგზავნება სხდომაზე დამსწრე ყველა წევრს. საბჭოს წევრი ვალდებულია არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა აღნიშნოს თავისი შენიშვნები/შესწორებები (ასეთის არსებობის შემთხვევაში), წინააღმდეგ შემთხვევაში სხდომის ოქმის შინაარსი მიიჩნევა შეთანხმებულად.
6.5. სხდომის ოქმს ხელს აწერს სხდომის თავმჯდომარე და მდივანი.

6.6. სხდომის ოქმი ინახება მაუწყებლის იურიდიული მხარდაჭერის სამსახურის საქმისწარმოების განყოფილებაში.

მუხლი 7. დასკვნითი დებულებანი

7.1. წინამდებარე დებულება მტკიცდება მაუწყებლის დირექტორის ბრძანებით.

7.2. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შესაძლებელია მაუწყებლის დირექტორის ბრძანების საფუძველზე, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

„მაუწყებლის მმართველი საბჭოს შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ“
მაუწყებლის დირექტორის 2024 წლის -- მარტის N02-03/-- ბრძანების
ფორმა N 1

საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირთა აღრიცხვის ბარათი

სხდომის ჩატარების თარიღი და დრო ----------				
N	პოზიცია	სახელი, გვარი	ელექტრონული ფოსტა	ხელმოწერა
1	მაუწყებლის დირექტორი			
2	დირექტორის მოადგილე მაუწყებლობის განვითარების დარგში			
3	დირექტორის მოადგილე ტექნიკური განვითარების დარგში			
4	სატელევიზიო მაუწყებლობის განვითარების სამსახურის უფროსი			
5	რადიო მაუწყებლობის სამსახურის უფროსი			
6	ახალი ამბების სამსახურის უფროსი			
7	საავტორო-შემოქმედებითი გადაცემების სამსახურის უფროსი			
8	მიმდინარე მაუწყებლობის სამსახურის უფროსი			
9	ონლაინ მედიის სამსახურის უფროსი			